საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№127 2013 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე შეთანხმებულ იქნეს ამ განკარგულების №1 დანართით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტები, საშტატო ნუსხები და სახელფასო ფონდები ამ განკარგულების №2 დანართის შესაბამისად.

2. №1 დანართით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს უფლება მიეცეთ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე განახორციელონ:

ა) №2 დანართის შესაბამისად შეთანხმებული ბიუჯეტის გაზრდა დონორებიდან მიღებული დაფინანსების ფარგლებში;

ბ) №2 დანართის შესაბამისად შეთანხმებული ბიუჯეტის გაზრდა-/ცვლილება საბიუჯეტო სახსრების ნაწილში;

გ) შეთანხმებული ბიუჯეტის საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილება, თუ აღნიშნული ცვლილებები ჯამურად არ აღემატება შეთანხმებული ბიუჯეტის 10%-ს, ხოლო თუ ცვლილებები აღემატება შეთანხმებული ბიუჯეტის 10%-ს ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით;

დ) საშტატო ნუსხის და სახელფასო ფონდის ცვლილება, თუ იგი არ იწვევს თანამდებობრივი სარგოს ერთი თვის ფონდის 5%-ზე მეტით ზრდას;

ე) შტატით გათვალისწინებული თანამდებობებისათვის თანამდებობრივი სარგოს ცვლილება, თუ იგი არ იწვევს თანამდებობრივი სარგოს ერთი თვის ფონდის გაზრდას, მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.

3. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია №1 დანართით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების №2 დანართის შესაბამისად შეთანხმებული ბიუჯეტების, საშტატო ნუსხებისა და სახელფასო ფონდების ნებისმიერი ცვლილება, გარდა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

4. განკარგულება ძალაშია 2013 წლის 1 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი

2. სსიპ – შემოსავლების სამსახური

ცხრილი №2.1

2013 წლის ბიუჯეტი

ათასი ლარი

დასახელება	მთლიანი ბიუჯეტი
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	16,706.8
შემოსულობები	137,213.2
შემოსავლები	137,213.2
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	51,000.0
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	86,213.2
გადასახდელები	158,920.0
ხარჯები	108,673.6
შრომის ანაზღაურება	58,700.0
საქონელი და მომსახურება	23,943.6
გრანტები	90.0
სოციალური უზრუნველყოფა	650.0
სხვა ხარჯები	25,290.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	45,246.4
ნაშთის ცვლილება	-16,706.8
ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის	0.0